

შპს კ-მოტორსი

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს კ-მოტორსი ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	10
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	14
მმართველობის ანგარიშგება.....	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კ-მოტორსის მფლობელებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს კ-მოტორსი-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოთათვის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვეთქვით ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოთათვის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოთათვის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას

მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნინო ღუდუშაური



(სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-588071)

შპს ფი ქეი ეფ ჯორჯიას სახელით (ფირმის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-798362)

ი. ნიკოლაძის ქ. #3, თბილისი 1079, საქართველო

25 სექტემბერი 2025 წელი.

შპს კ-მოტორსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,727,811	2,383,796
არამატერიალური აქტივები	5	25,230	18,123
გრძელვადიანი მოთხოვნები	6	896,956	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,649,997	2,401,920
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	9,884,131	8,687,316
სავაჭრო მოთხოვნები	8	1,470,854	2,540,338
გაცემული ავანსები	9	892,830	1,283,949
ფული და ფულის ექვივალენტები	10	2,135,472	1,961,516
სულ მოკლევადიანი აქტივები		14,383,287	14,473,119
სულ აქტივები		20,033,284	16,875,039
კაპიტალი და ვალდებულებები			
გაუნაწილებელი მოგება	11	17,049,975	15,716,448
სულ კაპიტალი		17,049,975	15,716,448
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	12	1,687,190	490,566
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,687,190	490,566
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	736,415	410,724
მიღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	12	559,703	257,301
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,296,118	668,025
სულ ვალდებულებები		2,983,308	1,158,591
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20,033,284	16,875,039

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერი

დირექტორი: ნინო შამანაური

ფინანსური მენეჯერი: მაგდა ნიკოლოზაშვილი

შპს კ-მოტორსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ტაბულ ლარში)

	ზეპუნი	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები			
არამატერიალური აქტივები	4	4,727,811	2,383,796
გრძელვადიანი მოთხოვნები	5	25,230	18,123
სულ გრძელვადიანი აქტივები	6	896,956	-
მოკლევადიანი აქტივები		5,649,997	2,401,920
მარაგები			
სავაჭრო მოთხოვნები	7	9,884,131	8,687,316
გაცემული ავანსები	8	1,470,854	2,540,338
ფული და ფულის ექვივალენტები	9	892,830	1,283,949
სულ მოკლევადიანი აქტივები	10	2,135,472	1,961,516
სულ აქტივები		14,383,287	14,473,119
		20,033,284	16,875,039
კაპიტალი და ვალდებულებები			
გაუნაწილებელი მოგება			
სულ კაპიტალი	11	17,049,975	15,716,448
გრძელვადიანი ვალდებულებები		17,049,975	15,716,448
მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	12	1,687,190	490,566
მოკლევადიანი ვალდებულებები		1,687,190	490,566
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
მიღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	13	736,415	410,724
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	12	559,703	257,301
სულ ვალდებულებები		1,296,118	668,025
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,983,308	1,158,591
		20,033,284	16,875,039

დაშტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერი

დირექტორი: ნინო შამანაური

ფინანსური მენეჯერი: მადეა ნიკოლოზაშვილი

შპს კ-მოტორსი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	14	19,050,035	18,680,136
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(11,031,748)	(10,795,749)
საერთო მოგება		8,018,287	7,884,387
კომერციული ხარჯები	16	(2,253,198)	(1,726,152)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,317,795)	(1,140,174)
საოპერაციო მოგება		4,447,295	5,018,061
ფინანსური შემოსავალი	18	132,250	76,997
ფინანსური ხარჯი	19	(113,811)	(85,042)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	20	(48,587)	(6,124)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	21	25,358	44,743
მოგება დაბეგვრამდე		4,442,505	5,048,634
მოგების გადასახადის ხარჯი	22	(466,347)	(179,493)
წლის მოგება		3,976,159	4,869,141
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		3,976,159	4,869,141

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერი

დირექტორი: ნინო შამანაური

ფინანსური მენეჯერი: მაგდა ნიკოლოზაშვილი

შპს კ-მოტორსი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(გარეული დარჩენილი)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	14	19,050,035	18,680,136
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(11,031,748)	(10,795,749)
საერთო მოგება		8,018,287	7,884,387
კომერციული ხარჯები	16	(2,253,198)	(1,726,152)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,317,795)	(1,140,174)
საოპერაციო მოგება		4,447,295	5,018,061
ფინანსური შემოსავალი	18	132,250	76,997
ფინანსური ხარჯი	19	(113,811)	(85,042)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	20	(48,587)	(6,124)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	21	25,358	44,743
მოგება დაბეგრამდე		4,442,505	5,048,634
მოგების გადასახადის ხარჯი	22	(466,347)	(179,493)
წლის მოგება		3,976,159	4,869,141
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		3,976,159	4,869,141

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერი

დირექტორი: ნინო შამანაური

ფინანსური მენეჯერი: მაგდა წიკოლოზაშვილი

შპს კ-მოტორსი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფული		22,580,321	20,037,479
მომწოდებლებზე და მომსახურებაზე გადახდილი ფული		(9,379,900)	(10,615,858)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული		(4,488,283)	(3,665,877)
საქვანგარიშო პირებზე გაცემული ფულის ნაშთი		-	(86,462)
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა		(4,224,177)	(4,178,620)
მოგების გადასახადი		(446,347)	(179,536)
სხვა გასაღები	23	(106,139)	(89,712)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,935,475	1,221,414
გადახდილი პროცენტები	12	(104,582)	(74,431)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,830,893	1,146,983
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,743,565)	(587,650)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(12,000)	(11,240)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		7,081	1,080
მიღებული პროცენტები	18	132,250	76,997
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,616,234)	(520,813)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	12	1,894,600	1,077,150
გადახდილი დივიდენდები		(2,510,500)	(966,500)
სესხების დაფარვა	12	(425,813)	(507,303)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,041,713)	(396,653)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		172,946	229,517
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,961,516	1,749,286
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა		1,011	(17,287)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		2,135,472	1,961,516

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერი

დირექტორი: ნინო შამანაური

ფინანსური მენეჯერი: მაგდა ნიკოლოზაშვილი

შპს კ-მოტორსი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(უარიდან დარბა)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფული		22,580,321	20,037,479
მოწოდებლებზე და მომსახურებაზე გადახდილი ფული		(9,379,900)	(10,615,858)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული		(4,488,283)	(3,665,877)
საქვანგარიშო პირებზე გაცემული ფულის ნაშთი		-	(86,462)
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა		(4,224,177)	(4,178,620)
მოგების გადასახადი		(446,347)	(179,536)
სხვა გასაცემები	23	(106,139)	(89,712)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,935,475	1,221,414
გადახდილი პროცენტები	12	(104,582)	(74,431)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,830,893	1,146,983
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,743,565)	(587,650)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(12,000)	(11,240)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		7,081	1,080
მიღებული პროცენტები	18	132,250	76,997
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,616,234)	(520,813)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	12	1,894,600	1,077,150
გადახდილი დივიდენდები		(2,510,500)	(966,500)
სესხების დაფარვა	12	(425,813)	(507,303)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,041,713)	(396,653)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		172,946	229,517
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,961,516	1,749,286
საკუროსი სხვაობის ცვლილების გავლენა		1,011	(17,287)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		2,135,472	1,961,516

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერი

დირექტორი: ნინო შამანაძე

ფინანსური მენეჯერი: მაგდალინა კოლოზაშვილი

შპს კ-მოტორსი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
01.01.2023	11,864,675	11,864,675
წლის მოგება	4,869,141	4,869,141
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	4,869,141	4,869,141
გამოცხადებული დივიდენდები	(1,017,368)	(1,017,368)
ოპერაციები მფლობელებთან	(1,017,368)	(1,017,368)
31.12.2023	15,716,448	15,716,448
წლის მოგება	3,976,159	3,976,159
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	3,976,159	3,976,159
გამოცხადებული დივიდენდები	(2,642,632)	(2,642,632)
ოპერაციები მფლობელებთან	(2,642,632)	(2,642,632)
31.12.2024	17,049,975	17,049,975

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერი

დირექტორი: ნინო შამანაური

ფინანსური მენეჯერი: მაგდა ნიკოლოზაშვილი

შპს კ-მეტორსი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ტაბულ ფორმა)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
01.01.2023		
წლის მოგება	11,864,675	11,864,675
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	4,869,141	4,869,141
გამოსხმადებული დივიდენდები	4,869,141	4,869,141
ოპერაციები მფლობელებთან	(1,017,368)	(1,017,368)
31.12.2023	(1,017,368)	(1,017,368)
წლის მოგება	15,716,448	15,716,448
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	3,976,159	3,976,159
გამოსხმადებული დივიდენდები	3,976,159	3,976,159
ოპერაციები მფლობელებთან	(2,642,632)	(2,642,632)
31.12.2024	(2,642,632)	(2,642,632)
	17,049,975	17,049,975

დაბტკიცებულია გამოსაშვებად და ბეჭდითაა მოწმობს მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერი

დირექტორი: ნინო შამანაური

ფინანსური მენეჯერი: მაგდა ნიკოლოზაშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კ მოტორსი“ შემდგომში (კომპანია) რეგისტრირებულია 2011 წლის 15 ნოემბერს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 406058126.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ავტონაწილებით და აქსესუარებით; ავტომობილების ტექნიკური მომსახურება-რემონტი.

იურიდიული მისამართია სამგორის რ-ნი, ზურაბ იარაჯულის ქ. #29, ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, სამგორის რ-ნი, ქინძმარაულის ქ. #7.

საშუალო დასაქმებულთა რაოდენობა 2023 წელს იყო 130 თანამშრომელი, ხოლო 2024 წელს 161 თანამშრომელი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორი არის:

კახა კუმელაშვილი (პ.ნ 36001006147)- 100%;

კომპანიის დირექტორი ნინო შამანაური (პ.ნ 01019017696)

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების დადებითი სალდო, მიუხედავად კომპანიის ოპერაციების ზარალისა მენეჯმენტისა და პარტნიორების მოლოდინით კომპანიას საჭიროების შემთხვევაში არ შეეზღუდება ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR	GBP
31.12.2024	2.8068	2.9306	3.5349
31.12.2023	2.6894	2.9753	3.4228

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და

გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით და ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს

მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის არ მოხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

მოგების და სხვა გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გამლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიას საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიას მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების შეფასებული მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	შეფასებული მომსახურების ვადა
-------	------------------------------

შენობები	20 -50 წელი
----------	-------------

მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
---------------------	-----------

ოფისის აღჭურვილობა	3-8 წელი
--------------------	----------

ავეჯი და ინვენტარი	3-8 წელი
--------------------	----------

სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
--------------------------	-----------

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად, თვითღირებულებით, რომელიც მცირდება ცვეთითა და გაუფასურების ზარალით.

საინვესტიციო ქონება არ აღირიცხება შეფასებული ღირებულებით, რადგან კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ასეთ აღრიცხვასთან დაკავშირებული დანახარჯი მიზანშეუწონელი იყო სააღრიცხვო პერიოდისთვის შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი არის ძალიან მცირე;

კომპანიის თანამშრომლებს არ აქვთ სპეციფიკური ცოდნა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დასადგენად.

მომავალ სააღრიცხვო პერიოდისთვის, თუ შესაძლებელი იქნება, გონივრული დანახარჯების პირობებში საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრა, კომპანია გეგმავს საინვესტიციო ქონების აღრიცხვა რეალური ღირებულების მოდელით განხორციელებას.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნედლეულსა და მასალებს და დაუმთავრებელ წარმოებას. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება გრძელვადიანი აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიას მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები

კომპანია საოპერაციო შემოსავლებს იღებს ავტონაწილების მიწოდებიდან და ავტომანქანების ტექნიკური მომსახურებიდან, ასევე სამშენებლო მომსახურებიდან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიისგან დასაქმებულმა.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;

შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) გაუფასურების ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზაციის მიხედვით. ფიზიკურ პირებზე კომპანია რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო განვადებით და არ წარმოქმნება სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და

სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

დ) მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ე) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
01.01.2023	312,348	779,533	325,504	198,462	187,723	391,449	350,569	2,545,588
შემოსვლა	-	-	105,952	98,481	93,059	190,226	-	487,718
კაპიტალიზაცია	-	11,215	-	-	-	-	-	11,215
რეკლასიფიკაცია	-	52,920	-	-	-	-	(52,920)	-
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	(8,163)	(3,576)	(398)	-	-	(12,138)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	(9,496)	-	(9,496)
31.12.2023	312,348	843,668	423,292	293,367	280,383	572,179	297,649	3,022,886
შემოსვლა	1,835,000	-	234,323	88,034	124,366	342,420	-	2,624,144
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	(3,220)	(2,387)	(1,657)	-	-	(7,264)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	(3,985)	(216)	-	(5,932)	-	(10,133)
31.12.2024	2,147,348	843,668	650,410	378,799	403,092	908,667	297,649	5,629,633
დაგროვილი ცვეთა								
01.01.2023	-	(113,726)	(84,508)	(54,626)	(70,410)	(68,215)	(48,545)	(440,030)
პერიოდის ცვეთა	-	(38,950)	(33,208)	(25,779)	(24,374)	(48,777)	(35,685)	(206,774)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	1,361.16	710.74	217.70	-	-	2,290
რეკლასიფიკაცია	-	(13,188)	-	-	-	-	13,188	-
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	5,424.23	-	5,424
31.12.2023	-	(165,864)	(116,355)	(79,695)	(94,566)	(111,568)	(71,042)	(639,090)
პერიოდის ცვეთა	-	(39,057)	(53,990)	(36,251)	(34,503)	(72,827)	(36,246)	(272,874)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	2,260	1,021	805	-	-	4,085
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	125.56	-	-	5,932.22	-	6,058
31.12.2024	-	(204,921)	(167,960)	(114,925)	(128,264)	(178,463)	(107,288)	(901,821)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება								
31.12.2023	312,348	677,803	306,938	213,672	185,817	460,611	226,607	2,383,796
31.12.2024	2,147,348	638,747	482,450	263,873	274,828	730,204	190,361	4,727,811

კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მიწა მასზე არსებული შენობა-ნაგებობით წარმოადგენს სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფის საგანს.

მიწის ისტორიული ღირებულება შეადგენს 312 348 ლარს, შენობა-ნაგებობის ისტორიული ღირებულება შეადგენს 843 668 ლარს, აკუმულირებული ცვეთა კი 204 921 ლარი.

2023 წელს ცვეთის ხარჯი 77 760 ლარი ასახულია თვითღირებულების ხარჯებში, 52 810 ლარი კომერციულ ხარჯებში, ხოლო 76 206 ლარი ადმინისტრაციულ ხარჯებში.

2024 წელს ცვეთის ხარჯი 108 896 ლარი ასახულია თვითღირებულების ხარჯებში, 76 526 ლარი კომერციულ ხარჯებში, ხოლო 87 453 ლარი ადმინისტრაციულ ხარჯებში.

5. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	საბუღალტრო პროგრამა	სულ
01.01.2023	18,151	18,151
შემოსვლა	9,525	9,525
31.12.2023	27,677	27,677
შემოსვლა	10,170	10,170
31.12.2024	37,846	37,846
დაგროვილი ცვეთა		
01.01.2023	(7,256)	(7,256)
პერიოდის ცვეთა	(2,298)	(2,298)
31.12.2023	(9,554)	(9,554)
პერიოდის ცვეთა	(3,063)	(3,063)
31.12.2024	(12,617)	(12,617)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება		
31.12.2023	18,123	18,123
31.12.2024	25,230	25,230

2023 წელს ამორტიზაციის 2 298 ლარი ასახულია საერთო ადმინისტრაციულ ხარჯებში.

2024 წელს ამორტიზაციის 3 063 ლარი ასახულია საერთო ადმინისტრაციულ ხარჯებში.

6. გრძელვადიანი მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი მოთხოვნები	896,956	-
სულ	896,956	-

კომპანიას აქვს სამშენებლო მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნა, რომელიც მენეჯმენტმა დააკლასიფიცირა, როგორც გრძელვადიანი მოთხოვნა. მოცემული გრძელვადიანი მოთხოვნის მოკლევადიანი ნაწილი წარმოდგენილია შენიშვნებში (იხ. შენიშვნა 8-ში - გრძელვადიანი მოთხოვნის მოკლევადიანი ნაწილი). ასევე გრძელვადიანი მოთხოვნები განმარტებულია შენიშვნებში (იხ. შენიშვნა N25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები)

7. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
სარეალიზაციო საკონელი	8,017,310	7,443,345
სხვა მარაგები	161,836	122,326
დაუმთავრებელი წარმოება-სამშენებლო პროექტები	1,704,985	1,121,645
სულ	9,884,131	8,687,316

დაუმთავრებელი წარმოება-სამშენებლო პროექტები - კომპანიას აქვს შესასრულებელი სამშენებლო პროექტები: პროექტი 1-ის თვითღირებულება -1.329.622 ლარი, რომელიც დამკვეთს მიეწოდა 2023 წლის ოქტომბერში 1.610,170 ლარი (დღგ-ს გარეშე), პროექტი 2-ის თვითღირებულება 31.12.2023 ის მდგომარეობით შეადგენდა 1.121.645 ლარს, ხოლო 31.12.2024 თვის 1.703.714 ლარს, პროექტი დასრულდა 2025 წლის მარტში. (იხ. შენიშვნა 25. - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები). კომპანიას საკუთარი ახალი ობიექტის მშენებლობისთვის გაწეული სამუშაოების ღირებულება 1271 ლარია, რომელიც დაიწყო 2024 წელს საკუთარ მიწაზე, ასახულია საკუთარი ობიექტების დაუმთავრებელი მშენებლობაში. (იხ. შენიშვნა 25. - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები).

მარაგები არ არის დაგირავებული მესამე პირის სასარგებლოდ და არ შექმნილა გაუფასურების რეზერვი.

2024 წლის პერიოდში კომპანიის მენეჯმენტმა ჩამოწერა 4 283 ლარის წუნდებული მარაგი.

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია გაუფასურებული მარაგები.

კომპანიის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

2024 წელს რეალიზაციის თვითღირებულებაში აისახა 7 049 459 ლარის ღირებულების მარაგები, ხოლო 2023 წელს 6 328 924 ლარის ღირებულების მარაგები.

8. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1,033,225	2,561,204
გრძელვადიანი მოთხოვნის მოკლევადიანი ნაწილი	457,634	-
სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების რეზერვი	(25,963)	(23,936)
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ	5,959	3,071
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1,470,854	2,540,338

რეზერვის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად	31.12.2024	31.12.2023
ნაშთი წლის დასაწყისში	(23,936)	(93,523)
აღიარებული ანარიცხი წლის მანძილზე	(2,027)	-
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა	-	44,738
სავაჭრო მოთხოვნების აღდგენა	-	24,849
ნაშთი წლის ბოლოს	(25,963)	(23,936)

9. მოწოდებაზე და მომსახურების გაწევაზე გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები

	31.12.2024	31.12.2023
მომოწოდებელზე და მომსახურებაზე გადახდილი ავანსები	891,943	1,206,674
გადახდილი ავანსები თანამშრომლებზე	-	86,462
სხვა ავანსი	886	7,137
ჩამოწერილი რეზერვის აღდგენა	-	(16,324)
სულ გაცემული ავანსები	892,830	1,283,949

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	2,056,562	1,772,117
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	39,819	189,378
ნაღდი ფული სალაროში	39,091	22
სულ	2,135,472	1,961,516

11. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალში საანგარიშგებო პერიოდში ცვლილება არ განხორციელებულა.
 2024 წელს კომპანიამ გასცა დივიდენდი 2 642 632 ლარი, ხოლო 2023 წელს 1 017 368 ლარი.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის თვალსაზრისით კაპიტალი მოიცავს სადამფუძნებლო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას. კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი, რათა შემდგომ მომავალში მეწილეებზე დივიდენდების გაცემა და შესთავაზოს მეწილეებს ადეკვატური დივიდენდი სერვისების ღირებულების განსაზღვრით რისკის კანონზომიერი შეფარდებით.

კომპანია ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად; მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას მასში შემავალი აქტივების რისკის მახასიათებლებების და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალური სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან დასაკორექტირებლად, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს მეწილეებს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანია კაპიტალზე კონტროლს ახორციელებს კაპიტალის თანაფარდობით სრულ დაფინანსებასთან. რომლის მაჩვენებელიც მისაღებ დონედ მიჩნეულია 0.5-1.7. აღნიშნული კოეფიციენტის კალკულაცია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვედა ცხრილში:

	31.12.2024	31.12.2023
მოლიანი კაპიტალი	17,049,975	15,716,448
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	(2,135,472)	(1,961,516)
კაპიტალი	14,914,503	13,754,932
მოლიანი კაპიტალი	17,049,975	15,716,448
სესხები	2,246,894	747,867
სრული ფინანსირება	19,296,868	16,464,314
	-	-
კაპიტალის თანფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.77	0.84

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. საჭიროების შემთხვევაში კომპანია ადვილად შეძლებს დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვას, დაკავშირებული მხარეებისგან ინვესტიციების, სასესხო დაფინანსების მოძიების ან სხვა კრედიტორებისგან სასესხო დაფინანსების მოძიების გზით.

კაპიტალის მართვის მიზნების მისაღწევად, სხვა საკითხებთან ერთად, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს პროცენტური სესხებისა და სხვა ნასესხები სახსრების ყველა სახელშეკრულებო პირობის დაცვა, რომელიც კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს განსაზღვრავს. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ბანკს/კრედიტორს უფლებას ანიჭებს მოითხოვოს სესხებისა და ნასესხები სახსრების დაუყოვნებელი დაფარვა. მიმდინარე პერიოდში ადგილი არ ქონია პროცენტური სესხებისა და ნასესხები სახსრების სახელშეკრულებო პირობების დარღვევას.

კომპანიის კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და პროცედურები უცვლელი დარჩა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდებში.

12. მიღებული სესხი

	31.12.2024			31.12.2023		
კრედიტის გამგები	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	სულ	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	სულ
საბანკო სესხი N1	-	-	-	3,186	-	3,186
საბანკო სესხი N2	284,776	227,204	511,981	254,115	490,566	744,682
საბანკო სესხი N3	274,927	1,459,986	1,734,913	-	-	-
	559,703	1,687,190	2,246,894	257,301	490,566	747,867

N1 საბანკო სესხი დაიფარა 2024 წლის ივნარში.

N2 საბანკო სესხის დაფარვის ვადაა 25.09.2026 წ , ხოლო ამ სესხსთან დაკავშირებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6.95%. სესხის თანხა 300 000 აშშ დოლარია.

N3 საბანკო სესხის დაფარვის ვადაა 25.09.2029 წ, ხოლო ამ სესხსთან დაკავშირებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11%. სესხის თანხა 1 800 000 ლარია.

საბანკო სესხის უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა N4-ში.

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების რეკონსილაცია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ნაშთი წლის დასაწყისში	747,867	174,057
ბანკიდან სესხების მიღება	1,794,600	799,694
სესხებზე დარიცხული პროცენტი	110,626	76,986
სესხების დაფარვა	(325,813)	(229,847)
გადახდილი პროცენტი	(104,771)	(74,431)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	24,385	1,408
დაკავშირებული მხარიდან მიღებული მოკლევადიანი სესხი	100,000	277,456
დაკავშირებული მხარისათვის გადახდილი სესხი	(100,000)	(277,456)
ნაშთი წლის ბოლოს	2,246,894	747,867

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	496,600	354,052
მიღებული ავანსები	25,685	14,466
გადასახდელი ხელფასი	20,379	16,526
საგადასახადო ვალდებულებები	193,751	23,340
სხვა ვალდებულებები	-	2,339
სულ	736,415	410,724

14. შემოსავალი

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	*	13,482,686	12,339,898
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან დაკავშირებული მხარიდან	*	20,321	12,209
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	**	5,526,689	4,700,063
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან რეალიზაციიდან	***	-	1,610,169
შემოსავალი საიჯარო მომსახურების რეალიზაციიდან	****	20,339	17,797
სულ შემოსავალი		19,050,035	18,680,136

*- შემოსავალი ავტონაწილების რეალიზაციიდან

** - შემოსავალი ავტომანქანები ტექნიკური მომსახურებიდან

***- შემოსავალი სამშენებლო მომსახურების მიწოდებიდან

****- შემოსავალი საიჯარო მომსახურების მიწოდებიდან

15. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(7,036,887)	(6,321,008)
ხელფასი	(3,361,903)	(2,569,962)
იჯარის ხარჯი დაკავშირებულ მხარესთან	(230,563)	(330,388)
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	(209,845)	(89,196)
სამშენებლო მომსახურების თვითღირებულება	-	(1,329,622)
ცვეთა, ამორტიზაცია	(108,896)	(77,760)
კომუნალური ხარჯი	(71,083)	(69,897)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დაკავშირებულ მხარესთან	(12,572)	(7,916)
სულ	(11,031,748)	(10,795,749)

16. კომერციული დანახარჯები

	2024	2023
ხელფასი	(1,546,849)	(1,362,978)
საექსპლუატაციო ხარჯი	(342,910)	(112,659)
რეკლამის ხარჯი	(68,864)	(29,240)
მუშების უსაფრთხოების დაზღვევა	(9,691)	(5,644)
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა	(10,421)	(8,467)
საგადასახადო ხარჯი	(2,560)	(11,521)
კომუნალური ხარჯი	(17,771)	(9,985)
კომუნიკაციის ხარჯი	(14,746)	(11,045)
საწვავის ხარჯი	(50,830)	(76,185)
ცვეთა, ამორტიზაცია	(76,526)	(52,810)
ოჯარის ხარჯი	(14,364)	(6,745)
ოჯარის ხარჯი დაკავშირებულ მხარესთან	(53,207)	(24,985)
მიწოდების სხვა ხარჯი	(44,457)	(13,887)
სულ	(2,253,198)	(1,726,152)

17. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასი	(602,774)	(541,810)
დაკავშირებულ მხარის ხელფასი	(67,500)	(52,500)
საგადასახადო ხარჯი	(26,676)	(5,148)
ცვეთა, ამორტიზაცია	(90,516)	(78,504)
საწვავის ხარჯი	(76,246)	(15,237)
საექსპლუატაციო ხარჯი	(15,172)	(3,809)
ოჯარის ხარჯი	(19,153)	(13,491)
ოჯარის ხარჯი დაკავშირებულ მხარესთან	(70,942)	(49,971)
კომუნიკაციის ხარჯი	(14,746)	(5,523)
კომუნალური ხარჯები	(29,618)	(14,448)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(15,622)	(38,167)
კომპიუტერული მომსახურება	(19,556)	(13,946)
საბანკო მომსახურების ხარჯები	(52,366)	(38,425)
კონვერტაციის ხარჯი	(41,522)	(40,383)
საკანცელარიო-სამეურნეო ხარჯი	(25,263)	(127,540)
მივლინების ხარჯი	(42,280)	(57,145)
ჯარიმა, საურავი, სასამართლო ბაჟი, სააღმსრულებლო	(805)	(1,627)
ტენდერის ხარჯი	(30,580)	(150)
სხვა ხარჯები	(76,460)	(42,352)
სულ	(1,317,795)	(1,140,174)

18. ფინანსური შემოსავალი

	2024	2023
სარგებელი საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტიდან	132,250	76,997
სულ	132,250	76,997

19. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები	(113,811)	(85,042)
სულ	(113,811)	(85,042)

20. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

	2024	2023
საკურსო სხვაობის შემოსავალი	11,211	37,532
საკურსო სხვაობის ხარჯი	(59,798)	(43,656)
სულ	(48,587)	(6,124)

21. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2024	2023
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მოგება/ზარალი	3,003	928
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან ზარალი	(3,177)	(9,848)
საქველმოქმედო ხარჯი	(990)	(495)
მომსახურების შედეგად დარჩენილი ზეთების შემოსავალში აღება	9,181	10,261
ზარალი წუდებული საქონლის ჩამოწერიდან	(4,283)	-
დაზღვევის ანაზღაურება	12,161	11,147
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(3,986)	(1,558)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13,450	34,308
სულ	25,358	44,743

22. მოგების გადასახადის ხარჯი

	2024	2023
დარიცხული მოგების გადასახადი	(466,347)	(179,493)
მოგების გადასახადის ხარჯი	(466,347)	(179,493)

23. ფულადი ნაკადების ანგარიშგების შენიშვნები

სხვა გასაღებები	2024	2023
ბანკის საკომისიო გასაღებები	(27,534)	(43,032)
მივლინებისთვის გადახდები	(5,150)	(4,120)
აღსრულებაში გადახდები	(550)	(250)
ტენდერის საგარანტიოს გადახდა	(30,580)	(150)
სხვა გასაღებები	(550)	(710)
კონვერტაციის გასაღებები	(41,522)	(40,383)
სხვა ჯარიმები	(255)	(1,067)
სულ	(106,139)	(89,712)

24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	შენიშვნა	2024	2023
დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები			
სვაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	5,959	3,071
		2024	2023
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან			
საქონლის რეალიზაცია	14	20,321	12,209
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15	(12,572)	(7,916)
საიჯარო ხარჯი	15,16,17	(354,712)	(328,164)
მიღებული მოკლევადიანი სესხები	12	100,000	277,456
გადახდილი მოკლევადიანი სესხები	12	(100,000)	(277,456)
სახელფასო ხარჯი	17	(67,500)	(52,500)
გაცემული დივიდენდი	11	(2,642,632)	(1,017,368)

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მე-7 შენიშვნაში ასახულ დაუმთავრებელი წარმოება-სამშენებლო პროექტების ღირებულებას 2024 წლის ბოლოს 1 703 714 ლარს 2025 წელს დაემატა 2 691 ლარის ღირებულება- ჯამში 1 706 405 ლარის თვითღირებულების სამშენებლო პროექტი დამკვეთს მიეწოდა 2 033 898 ლარად დღგ-ს გარეშე.

2024 წელს დაწყებულ საკუთარი მშენებლობის პროექტს ღირებულებით 1 271 ლარი დაემატა 54 806 ლარის საპროექტო ხარჯები.

ასევე 2025 წელს მოხდა ახალი საკუთარი ობიექტის მშენებლობის დაწყება. დაუმთავრებელი საკუთარი მშენებლობის ღირებულება შეადგენს 571 706 ლარს.

2025 წელს შენიშვნა 6-8-ში ასახული დავალიანების ჯამში 1 354 590 ლარიდან 270 920 ლარი დაიფარა, გრძელვადიან სავაჭრო მოთხოვნას დაემატა პროექტი 2 სამშენებლო მომსახურების მიწოდებიდან 2 400 000 ლარის მოთხოვნა, საიდანაც დაიფარა 400 000 ლარი, დარჩენილ დავალიანებაზე ჯამში 3 083 670 ლარზე შედგა დებიტორთან შეთანხმება და განისაზღვრა დაფარვის გრაფიკი 60 თვეზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

2024 წლის 31 დეკემბრიდან ამ ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომპანიამ გასცა 1 125 024 ლარის დივიდენდი.

26. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ხანძმულობის პერიოდი შეადგენს 3 (სამი) წელს, რომელ პერიოდზეც საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები.

სასამართლო დავები - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სასამართლოში ჰქონდა მიმდინარე დავა, სადაც წარმოდგენდა როგორც მოპასუხე, ასევე მოსარჩელე მხარეს. როგორც მოსარჩელე, კომპანია კონტრაქტორიგან ითხოვდა მიწოდებული საქონლის და მომსახურების ღირებულებას 6212 ლარს. ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის აღნიშნული დავა დასრულებულია, სადავო თანხა გადახდილა მოსარჩელე მხარის მიმართ. როგორც მოსარჩელე, კომპანია კონტრაქტორებისგან ითხოვს შესრულებული სამუშაოს ღირებულებას 7012 ლარს, ამ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის არც ერთი სასამართლო დავა არ არის დასრულებული. კომპანიის იურისტების შეფასებით თანხის ამოღების ალბათობა 100% იანია, ვინაიდან დავალიანება არაა სადაო და აღიარებულია, თუმცა ვინაიდან ვერ ხერხდება სასამართლოს გზავნილების, საქმის მასალების, გადაწყვეტილებების ჩაბარება მოპასუხეებისათვის, აღძრული საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლამდე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მთელი რიგი ეტაპების გავლა დროში ჭიანჭურდება, საჭირო ხდება ხარჯების გაღება (სასამართლო ბაჟი, საფოსტო ხარჯები, აღსრულებს მოსაკრებელი), ხოლო შემდგომ დავალიანებები რჩება ამოუღებელი.

შპს კ-მოტორსი

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარებას და მდგომარეობას, აღწერს ძირითად რისკებს და გზებს, როგორ შეიძლება ამ რისკებმა გავლენა იქონიოს სუბიექტის სამომავლო პერსპექტივებზე, წარმოგიდგენს სუბიექტის წარსული საქმიანობის ანალიზს;

ასახავს ინფორმაციას სუბიექტის ხელმძღვანელი პირების სტრუქტურას და მის შესაბამისობას სუბიექტის მიზნების განხორციელებისთვის.;

წარმოადგენს ინფორმაციას სუბიექტის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, აღწერს დასაქმებასთან ადამიანის უფლებებს, პატივისცემას და ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებულ მიდგომებს. ანგარიში წარმოგიდგენს საწარმოს საქმიანობის მიმდინარე და სამომავლო გეგმების ინფორმაციას; აგრეთვე ანალიტიკურ ინფორმაციას იმ რისკებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოს საქმიანობაზე.

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „კ-მოტორსი“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდებაა გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. შპს „კ-მოტორსში“ გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ, შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

კომპანიის შესახებ

შპს „კ-მოტორსი“ დაარსდა 2011 წელს. იგი წარმოადგენს მულტიბრენდულ კომპანიას, რომელიც კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს სთავაზობს სატვირთო, მიკროავტობუსების და მსუბუქი ავტომანქანებისთვის ავტოპროდუქტებისა და ავტოტექნიკის სრულ ასორტიმენტს.

დღეის მდგომარეობით კომპანიას 180 ადამიანი ჰყავს დასაქმებული, ემსახურება 12000-მდე კერძო და კორპორატიულ კლიენტს.

კომპანია ორიენტირებულია სერვისის სისწრაფესა და უსაფრთხოებაზე, რაც მთავარი ფაქტორია მომხმარებელთა ნდობისა და წარმატების მოპოვებისათვის. ამასთან, კომპანია ისწრაფის დანერგოს ინოვაციური ინფრასტრუქტურა და მაქსიმალურად აუწყოს ფეხი ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალ და მზარდ ტენდენციებს, რაც მიზნად ისახავს მომხმარებელთათვის მაქსიმალურად გამარტივებული და ეფექტური სერვისის შეთავაზებას.

მდებარეობს და მისი იურ/ფაქტ მისამართია: ქ. თბილისი, ზურაბ იარაჯულის ქუჩა #29.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „კ-მოტორსი“ საქართველოში ანხორციელებს ისეთი მსხვილი და სახელოვანი ბრენდების მაღალხარისხიანი პროდუქციის რეალიზაციას, როგორებიცაა: GERMAN ADLER, TRUCKTEC, AUGER, FORCE GERMANY, SAMPA, BEGEL, BSG, WENDER PARTS, FILTORQ, SYNTIX, ERA, MAYSON MANDO, MOBILETRON, TRIFA, ZEN, KM GERMANY და ა.შ.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

- ძრავის შეკეთება.
- დიზელის სისტემის დიაგნოსტიკა, აღდგენა.
- ზეთის შეცვლა ძრავში, გადაცემათა კოლოფში და ხიდში.
- გადაცემათა კოლოფის შეკეთება.
- სავალი ნაწილების შეკეთება.
- ვულკანიზაცია - ბალანსირება.
- თვლების განშლადობა (რაზვალი).
- ხარატის მომსახურება (ტოკარი).
- კომპიუტერული დიაგნოსტიკა.
- ელექტრიკოსის მომსახურება.
- კონდიციონერის სისტემის მომსახურება.
- მობილური ჯგუფით მომსახურება.

შპს „კ-მოტორსი“ საქართველოში წარმოდგენილია 5 ლოკაციაზე,

- ქ.თბილისი, ზ.იარაჯულის ქ.29 (სერვისცენტრი, მაღაზია)
- ქ.თბილისი, მუხიანი, ისაკიანის ქ.55 (სერვისცენტრი, მაღაზია)
- ქ.თბილისი, გრ.ლორთქიფანძის ქ.162 (ცენტრალური საწყობი, საცალო-საბითუმო ვაჭრობა)
- საგარეჯო, ბადიური (ცენტრალური საწყობი, საბითუმო ვაჭრობა),
- ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ.37 (სერვისცენტრი, მაღაზია)
- ქ. ბათუმი, ხახულის 50 ბ (სერვისცენტრი, მაღაზია).

კომპანია მუდმივად ზრუნავს განვითარებასა და გაფართოებაზე, რეგულარულად სწავლობს მსოფლიოს ბაზარზე არსებული მწარმოებლების პროდუქციას, სიახლეებს, კომპანიის წარმომადგენლები რეგულარულად ესწრებიან ავტოინდუსტრიაში გამართულ მსოფლიო დონის გამოფენებს, კომპანია იზიარებს საერთაშორისო გამოცდილებას და

მუდმივად ნერგავს საკუთარ საქმიანობაში.

სამომავლო გეგმები

ჩვენი მიზანია, ქართულ ბაზარზე დავამკვიდროთ მომსახურების მაღალი სტანდარტი და ყოველთვის ვუპასუხოთ მომხმარებლის სურვილებსა და ახალ გამოწვევებს.

შპს „კ მოტორსი“ აქტიურად ზრდის საქმიანობის მასშტაბებს, სამომავლოდ დაგეგმილია საქმიანობის არეალის გაზრდა.

2025 წელს გაიხსნა ახალი ფილიალი ქ. ბათუმში.

მართვა

კომპანიას მართავს დირექტორი ნინო შამანაური.

კომპანიის სტრუქტურა შედგება ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულადაა განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები, რომლის სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული

ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

კომპანიის წილის მფლობელებს (პარტნიორებს) წარმოადგენენ ფიზიკური პირები. პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია კომპანიის წესდებით.

პარტნიორთა კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით.

პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

ჩვენი გუნდი

ჩვენს კომპანიაში დასაქმებული მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მუშა მოსამსახურეები უზრუნველყოფენ შესრულებული სამუშაოების უმაღლეს ხარისხს. ჩვენ მრავალწლიანი გამოცდილება გვაქვს აღნიშნულ სფეროში, რაც საშუალებას გვაძლევს მოვიზიდოთ და შევარჩიოთ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი.

შპს კ მოტორსში დასაქმებულია დაახლოებით 180-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს

აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს. შრომით ურთიერთობაში გათვალისწინებულია შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობები.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

შიდა კონტროლების მიმოხილვა

კომპანიის მენეჯმენტი ადეკვატურ ყურადღებას აქცევს შიდა კონტროლის სისტემას და აცნობიერებს IT კონტროლის მნიშვნელობას. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში შეტანილი მასალები ემყარება დამხმარე დოკუმენტაციას, რომელიც გენერირება შინაგანად ან მიიღება მომწოდებლებისგან ან გამყიდველებისგან. ფულადი სახსრების გადინების ყველა ოპერაცია მკაცრად კონტროლდება და მტკიცდება ხაზინის დეპარტამენტის უფროსის ან აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორის მიერ ტრანზაქციის მოცულობიდან გამომდინარე.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას აკონტროლებს დირექტორი და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. საკითხები რომელიც სცილდება კომპანიის მენეჯერების კომპეტენციას მიკუთვნებულია განსახილველად დირექტორთან. შიდა აუდიტი ჩართულია შიდა კონტროლის ხარვეზების აღმოჩენასა და დროულ გამოსწორებაში. ხელმძღვანელობა ამოწმებს ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის საქმიანობას და იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე კომპანიის მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს „კ მოტორსი“ ცდილობს შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, მოწვეული სპეციალისტების მიერ, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

გარემოს დაცვა და ეკოლოგია

კომპანია მუდმივად ცდილობს წარმართოს საქმიანობა ისე, რომ გავლენა არ მოახდინოს გარემოს. ამისთვის მუდმივად ხდება კონტროლი როგორც შიდა პერიმეტრზე, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც ნარჩენების მართვაზე, ასევე ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე. მუდმივად ხდება თანამშრომელთა ინფორმირება და ინსტრუქტაჟი, ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესება.

ასევე, 2022 წლიდან ამოქმედდა მწარმოებელთა გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია, რომელშიც გავწევრიანდით, ვინაიდან აქტიურად გვაქვს იმორტირებული ელექტრო საქონელი, საბურავები, ზეთები.

შესაბამისად, მაქსიმალურად ვცდილობთ გავითვალისწინოთ ნებისმიერი უარყოფითი გავლენა, შევამციროთ რისკები და გავუფრთხილდეთ საკუთარ იმიჯს.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა და რისკების მენეჯმენტი

მთავარი ფინანსური ინდიკატორები 2024 წლისთვის:

გაყიდვები ხორციელდება ქართულ ლარში.

ამონაგები	19,050,035
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(7,390,354)
თანამშრომელთა სარგებელი (ხელფასი)	(5,579,027)
იჯარის ხარჯი	(450,475)
მიწოდების ხარჯები	(338,771)
ცვეთა /ამორტიზაცია	(275,937)
დაზღვევის ხარჯები	(22,369)
რემონტი	(53,683)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(151,241)
საბანკო მომსახურების ხარჯები	(57,766)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(32,502)
მივლინების ხარჯი	(42,280)
საგადასახადო ხარჯი	(47,159)
ტენდერის საგარანტიო ხარჯი	(30,580)
დაცვის ხარჯი	(12,547)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(118,050)
სულ საოპერაციო მოგება	4,447,294
ფინანსური შემოსავალი	132,250
ფინანსური ხარჯი	(113,811)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(48,587)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	25,358

მოგების გადასახადის ხარჯი

(466,345)

წლის მოგება**3,976,159****რისკების მართვა**

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფინანსური ხარჯი, რომელიც წარმოიშვება როდესაც მყიდველი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და დავალიანება ყალიბდება საექვო მოთხოვნად. ფინანსური აქტივების არსებული მთლიანი ნაშთი არის მაქსიმალური შესაძლო საკრედიტო რისკი. შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრისათვის საკრედიტო რისკი არის შემდეგი:

კომპანია საკმაოდ ეფექტურად ახერხებს პარტნიორებთან თანამშრომლობას, და გაწეული მომსახურების სანაცვლო ანაზღაურებას ყოველთვის გონივრულ ვადაში იღებს.

კომპანია 2023-24 წლის განმავლობაში არ იყენებდა საკრედიტო რისკის დაზღვევის სხვა ფინანსურ ინსტრუმენტს.

მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი 2024 წლის ბოლოს არის 1 470 854 ლარი.

გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი 2024 წლის ბოლოს არის 896 956 ლარი.

მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი 2023 წლის ბოლოს არის 2 540 338 ლარი.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობა განსაზღვრავს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას მიმდინარე ფინანსური აქტივებით.

კომპანიის ყოველთვიური ხარჯების 38%-ს შეადგენს გადასახდელი ხელფასები. რისკის თავიდან აცილების მიზნით, მენეჯმენტს შემუშავებული აქვს პოლიტიკა რომ ფულადი სახით კომპანიის საბანკო ანგარიშზე ყოველთვის იყოს განთავსებული როგორც რამოდენიმე თვის ხელფასის ოდენობის, ასევე მომწოდებლებთან დასაფარი ვალდებულებების თანხა.

სავალუტო რისკი- განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. ჯგუფი დაუცველია უპირატესი უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის გავლენისაგან მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო ანგარიშებზე განთავსებული თანხა განკუთვნილია მომწოდებლების ვალდებულებების დასაფარად, რაც სრულად აზღვევს სავალუტო რისკს.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს კ-მოტორსი

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	12/31/2024	12/31/2023
	აშშ დოლარი ექვივალენტში	აშშ დოლარი ექვივალენტში
ფინანსური აქტივები	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,645	61,644
სულ ფინანსური აქტივები	11,645	61,644
ფინანსური ვალდებულებები	511,090	747,867
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,808	14,874
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	540,898	762,741
წმინდა ფინანსური პოზიცია	(529,253)	(701,097)

	12/31/2024	12/31/2023
	ევრო ექვივალენტში	ევრო ექვივალენტში
ფინანსური აქტივები	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,568	48,327
სულ ფინანსური აქტივები	8,568	48,327
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	410,449	257,678
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	410,449	257,678
წმინდა ფინანსური პოზიცია	(401,881)	(209,351)

	12/31/2024	12/31/2023
	არაბეთის გაერთ. საემირატოების დირჰამი ექვივალენტში	არაბეთის გაერთ. საემირატოების დირჰამი ექვივალენტში
ფინანსური აქტივები		-
ფული და ფულის ეკვივალენტები		29
სულ ფინანსური აქტივები		29

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-
წმინდა ფინანსური პოზიცია		29
	12/31/2024	12/31/2023
	ჩინური იუანი ექვივალენტში	ჩინური იუანი ექვივალენტში
ფინანსური აქტივები		-
ფული და ფულის ეკვივალენტები	19 003	79,376
სულ ფინანსური აქტივები	19 003	79,376
წმინდა ფინანსური პოზიცია	19 003	79,376

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. კომპანია დაუცველია უპირატესი უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის გავლენისაგან მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. ვინაიდან კომპანიის

ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი აქვს ვალუტში აღებული, ვალუტის მერყეობა ძირითად ზეგავლენას არ ახდენს კომპანიის მომგებიანობაზე.

თავის განკარგულებაში არებული თავისუფალი ფულადი სახსრები კომპანიის საკრედიტო რისკს 100% აზღვევს.

საბაზრო რისკები - ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად იზრდება.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, არაფინანსური ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან;

კომპანიის 2024 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

ლიკვიდურობის კოეფ. =	მიმდინარე აქტივები	=	14 383 287	= 11,1
	მიმდინარე ვალდებულებები		1 296 118	
სწრაფი ლიკვიდურობა =	მიმდინარე აქტივები-მარაგები	=	4 449 156	= 3,47
	მოკლევადიანი ვალდებულებები		1 296 118	
მოგება საკუთარ კაპიტალი =	წმინდა მოგება	=	3 976 159	= 0,23
	საკუთარი კაპიტალი		17 049 975	

კომპანიის 2023 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

ლიკვიდურობის კოეფ. =	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{14\,473\,119}{668\,025} = 21,67$
სწრაფი ლიკვიდურობა =	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{5\,785\,803}{668\,025} = 8,66$
მოგება საკუთარ კაპიტალ =	$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{4\,869\,141}{15\,716\,448} = 0,31$

სამომავლო გეგმები

კომპანია მიზნად ისახავს გააგრძელოს ბოლო წლების წარმატებული საქმიანობა და შესაბამისად შეიმუშავა გარკვეული სტრატეგიული პრიორიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შემდგომ ზრდას.

„კ მოტორსი“-ს ძირითადი სტრატეგიული მიზნები მომავალი წლებისთვის მოიცავს:

- ▶ კომპანიის პოზიციის გამყარება ბაზარზე და ბაზრის წილის ზრდა ყველა მიმართულებით;
- ▶ პროდუქციის დივერსიფიკაცია ბაზარზე მოსალოდნელი რყევების თავიდან ასაცილებლად;
- ▶ ფილიალების ქსელის გაფართოება საქართველოს მასშტაბით;

ანტი-კორუფციული პოლიტიკა

კომპანია იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოველად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება კომპანიის ბიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ კომპანიაში ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.

კომპანიის პასუხისმგებელი პირების განცხადება

კომპანიის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს.

შპს კ-მოტორსი

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ასევე, წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს კომპანიის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერი

დირექტორი: ნინო შამანაური

ფინანსური მენეჯერი: მაგდა ნიკოლოზაშვილი

მს. კ. მატეოსი

მმართველობის ანგარიშები

2024 წლის 21 დეკემბრის შედეგების და ასევე თარიღის დასრულებული წინადადება

ქართული დამსახურება

ასევე, წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშები სამართლიანად და ამოწურვად მიმოიხილეს კომანდოს საკმარისის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.

დამტკიცებულია გამოსაშვად და ხელმოწერულია მმართველობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერი

დირექტორი: ნინო მამასაძე

ფინანსური მმართველი: მაგდა ნიკოლოზაშვილი